პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ეროვნული ბანკის შესაძლებლობების გაძლიერება საბანკო და საგადახდო მომსახურების სფეროში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

განხორციელების ვადა: 01.03.2019 - 31.05.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 750 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Polish Financial Supervision Authority - UKNF

პროექტის ვებსაიტები: nbg.gov.ge/index.php?m=731&lng=eng; knf.gov.pl/en/ABOUT_US/International_cooperation/EU/EU_funded_projects

პროექტის აღწერა:
ევროკავშირმა მხარი დაუჭირა საქართველოს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების გაძლიერებას, რათა უფრო კარგად მოხდეს ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესრულება.
საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტმა დახმარება გაუწია საქართველოს ეროვნულ ბანკს ფინანსური ზედამხედველობის ინსტრუმენტების გაუმჯობესებაში ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოში ფინანსური სექტორის სტაბილურობის გაუმჯობესების და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით. პროექტის ექსპერტები მუშაობდნენ შესაბამისი მარეგულირებელი, საზედამხედველო და აღსრულების ჩარჩოს გაუმჯობესებაზე ქართულ მხარესთან ერთად. პროექტი შედგებოდა ორი კომპონენტისგან და ორიენტირებული იყო საბანკო და საგადახდო სექტორში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებასა და მის დანერგვაზე.
პოლონელი და ქართველი პარტნიორების ერთობლივი მუშაობა მოიცავდა კონსულტაციებს და ტრენინგებს საქართველოში და დისტანციურად ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმების გამოყენებით..
პროექტმა ხელი შეუწყო:
- მარეგულირებელი, საზედამხედველო და აღსრულებების ჩარჩოს თანდათანობით დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად;
- საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ფუნქციისა და შესაძლებლობების გაძლიერებას საბანკო და საგადახდო მომსახურების ბაზრის დარეგულირების კუთხით, ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის

მოსალოდნელი შედეგები:
- საბანკო კანონმდებლობა გადასინჯული და დანერგილია CRD IV პაკეტის შესაბამისად, რომელიც მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს, ინსტიტუტების ადმინისტრატორების და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესაბამისობის კრიტერიუმებს, ლევერიჯის კოეფიციენტს, წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტს, მსხვილი რისკის პოზიციების ხარისხს, კორპორაციულ მართვას, მნიშვნელოვანი წილის გადაცემასა და ლიცენზირებას, შიდა კაპიტალის შეფასებას და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს.
- საგადახდო მომსახურების სამართლებრივი და აღსრულებადობის ჩარჩო გადასინჯულია ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების შესაბამისად და მომზადებულია შესაბამისი სამართლებრივი ცვლილებები, შემუშავებულია პრუდენციული ზედამხედველობის ჩარჩო, გადახდის ოპერაციების შესრულების წესები განახლებულია და მოქმედია, საგადახდო მომსახურების სისტემის ოპერატორების რეგისტრაციისა და რეგისტრაციის გაუქმების წესში შესატანი ცვლილებები მომზადებულია, კლიენტის ავთენტიფიკაციის მოთხოვნები და კომუნიკაციის უსაფრთხო ღია სტანდარტები შემუშავებულია.
- საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სწავლება და შეუძლიათ ახალი წესებისა და რეგულაციების გამოყენება.